ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 102

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და აწგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და აწგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივლისის №44-4422201364 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №203836233), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წინამდებარე განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონების 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი, №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-სათვის შეადგენს 50,0 (ორმოცდაათი) ლარს, სულ წლიური საიჯარო ქირა – 800,0 (რვაასი) ლარი.

მუხლი 3. წლიური საიჯარო ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

157

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №203836233) მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს, პრესის გავრცელების, აგრეთვე, საფოსტო და კომერციული საქმიანობის ჯიხურების (გარდა საზოგადოებრივი კვების დანიშნულების პროდუქტებისა) განთავსების მიზნით.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№ 102 განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით	ტროტუარი	4.0 კვ.მ.	03.04.32.465
2.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №55-ის მიმდებარედ	ტროტუარი	4.0 კვ.მ.	03.04.26.540
3.	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, I შესახვევი, №1 (ყოფილი რუსთაველის გამზირი) სახლის ჩრდილოეთით (ნაკვეთი №4)	მწვანე ნარგავი, გაზონის ნაწილი	4.0 კვ.მ.	03.04.01.400
4.	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი, №2-ის სამხრეთით	ტროტუარი	4.0 კვ.მ.	03.04.21.034
			16.0 კვ.მ.	

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია